ქ. თბილისი

13. 02. 2019 წ.

ბრძანება N 10

შპს მეცნიერებათა სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ

შპს მეცნიერებათა სკოლის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, „ო" ქვეპუნქტის, საქმისწარმოების ინსტრუქციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შპს მეცნიერებათა სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმობელს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

შპს მეცნიერებათა სკოლის
დირექტორი

სოფიო სუხიშვილი

შპს მეცნიერებათა სკოლის

ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს მეცნიერებათა სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმებს.
2. შპს მეცნიერებათა სკოლა (შემდგომში-სკოლა) თავისი საქმიანობის ფარგლებში ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისა" და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნები და ამოცანები

1. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზანია სკოლაში მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა;
2. სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება გულისხმობს სკოლის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი სკოლის მისიისა და მის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების მიღწევას.
3. სკოლის მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანესია გეგმის განხორციელების მუდმივი შეფასება, განხორციელებული აქტივობების, მათთან დაკავშირებული შედეგების შეფასება და ანალიზი.

4.ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ამოცანებია:

ა) სკოლაში მაღალი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვა;

ბ) შესაბამისი აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა;

გ) სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ
წინსვლაზე ზრუნვა - ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

დ) სკოლაში შიდა შეფასების სისტემის დანერგვა;

ე) ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის
შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება;

ვ) საჭიროების დადგენის შემთხვევაში, გაუმჯობესების გზების დასახვა და განხორციელება.

ზ) ადამიანური რესურსი მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება;

მუხლი 3. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მნიშვნელობა

1. ადამიანური რესურსების განვითარებასა და კვალიფიციური კადრებს უმნიშვნელოვანესი როლი აქვს სკოლის მოსწავლეთა კარგი შედეგების ჩვენებაში.

2. სწავლის ხარისხის ინდიკატორია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებიან და ჯეროვნად ასრულებენ სკოლის მასწავლებლები
დაკისრებულ ვალდებულებებს.

მუხლი 4. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. სკოლას ჰყავს დირექცია, რომლის ფუნქციაა სკოლის ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

2. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში:

ა) დირექციის წევრთა მეხვედრებზე განიხილება ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მეთოდები-საჭიროებების გამოვლენა, გუნდური მუშაობა, კათედრის როლის გაძლიერება, არაფორმალური ურთიერთობები, კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები, ტრენინგები, პროექტები; აღნიშნული დაეხმარება მათ არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავებაში;

ბ) დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდისათვის დაიგეგმება ნახალისების სხვადასხვა ღონისძიება;

მუხლი 5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით სკოლა ავტორიზაციის მიღების შემდეგ ჩაერთვება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილებით განსაზღვრულ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა:

2.1. ჩაერთვება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამასა და პროექტში;

2.2. უზრუნველყოფს მასწავლებელთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტსა და ღონისძიებაში;

2.3. მასწავლებლის თანხმობით, უზრუნველყოფს მის მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

მუხლი 6. სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა

1. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც განხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზის შემუშავებას სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებით. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს.
2. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დაინერგება გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.
3. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა პროგრესის ანალიზით განხორციელდება მასწავლებლის ირიბი შეფასება. კათედრის თავმჯდომარეების/კლასის დამრიგებლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, დირექტორის მოადგილე მოახდენს, კლასების მიხედვით, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზს. მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის თუ რეგრესის მაჩვენებლის მიხედვით მოხდება მასწავლებლის შეფასება და შედეგების კათედრის სხდომებზე განხილვა.

მუხლი7. პროფესიული განვითარება

პროფესიული განვითარება მიზნად ისახავს თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებას და გაუმჯობესებას. აღნიშნული გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

ა) პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე;

ბ) გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევას/დაგეგმვას;

გ) შესაბამისი კანდიდატების შერჩევას;

დ) მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. ადამიანური რესურსების სწორი მართვა უზრუნველყოფს სკოლის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესში იმგვარი გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.
2. ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმებს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს შპს მეცნიერებათა სკოლის დირექტორი. მისი გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემის გზით.

ქ. გორი

23.04.2020 წ.

ბრძანება N 01-40

„შპს მეცნიერებათა სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ" შპს მეცნიერებათა სკოლის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის N10 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს მეცნიერებათა სკოლის წესდების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „შპს მეცნიერებათა სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ" შპს მეცნიერებათა სკოლის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის N10 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებულ მექანიზმებში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. შპს მეცნიერებათა სკოლა (შემდგომში-სკოლა) თავისი საქმიანობის ფარგლებში ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისა" და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე".
2. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით სკოლა ჩაერთვება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილებით განსაზღვრულ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში".

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის N30).

შპს მეცნიერებათა
სკოლის დირექტორი

სოფიო სუხიშვილი